ბსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე
დასაქმებულისათვის საყურადღებო და გასათვალისწინებელია შემდეგი:

ბსუ-ს დასაქმებულმა შრომითი საქმიანობის პროცესში უნდა გაითვალისწინოს საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს რეგულაციების მოთხოვნები *შეთავსებით საქმიანობასთან დაკავშირებით, კერძოდ:*

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის **42-ე მუხლის** (,,მუხლი 42. თანამდებობრივი შეუთავსებლობა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში") **მე-4 პუნქტის თანახმად:** ,,4. აკადემიური, მასწავლებელთა და *დამხმარე პერსონალის* სამსახურებრივი შეუთავსებლობა, ასევე **შეუთავსებლობის სხვა შემთხვევები** განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების **წესდებით."**.

ბსუ-ს წესდების 65-ე მუხლის (,,თანამდებობრივი შეუთავსებლობა") მე-4-5 პუნქტების თანახმად: ,,4. უნივერსიტეტის პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობა განისაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით, უნივერსიტეტის **შინაგანაწესით**, წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით. 5. **აკადემიური**, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობა შეიძლება განისაზღვროს ასევე მათთან გაფორმებული შრომის ხელშეკრულებით."

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის და ბსუ-ს წესდების 65-ე მუხლის შესაბამისად შემუშავებული **ბსუ-ს შინაგანაწესის** მე-5 მუხლის (,,თანამდებობრივი შეუთავსებლობა") პირველი და მე-6 პუნქტის **თანახმად: ,,**1. უნივერსიტეტში დასაქმებულთა თანამდებობრივი შეუთავსებლობა განისაზღვრება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების შესაბამისად დადგენილი წინამდებარე შინაგანაწესით."…..

,,6. **აკადემიური,** სამეცნიერო და დამხმარე პერსონალის **შეთავსებით** მუშაობა უმაღლეს **საგანმანათლებლო ან/და** სხვა დაწესებულებაში, ***დასაშვებია დამსაქმებლის თანხმობით,*** საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს აფილირების წესის ან/და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით გამოცემული ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით ან/და შრომითი ხელშეკრულებით."

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესი" (შემდეგში - **,,ბსუ-ს აფილირების წესი")** ადგენს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების პირობებს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის (აკადემიური) დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის რეგულაციას. ამ წესის თანახმად, ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირს ბსუ-სთან აფილირების გათვალისწინებით შეიძლება ჰქონდეს **,,ა1", „ა2", ,,ბ1", „ბ2", „ბ3" ან ,,გ" კატეგორიის** შრომითი (აკადემიური) დატვირთვა, მათ შორის **,,გ"** კატეგორიის დატვირთვა (წლიური სავალდებულო დატვირთვის ნახევარი)- მხოლოდ ბსუ-სთან **არაფ**ილირებულ პირს.

„ა1" კატეგორიის დატვირთვა განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელიც დასაქმებულია მხოლოდ ბსუ-ში ან/და სხვა დაწესებულებაში (ფსიქოლოგიური კლინიკა, სამედიცინო, სასამართლო ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში), სადაც ხორციელდება ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კლინიკური კომპონენტი/პრაქტიკა.

„ა2" კატეგორიის დატვირთვა განესაზღვრება ბსუ-სთან **აფილირებულ** აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელიც ახორციელებს სხვა უსდ-შიც საგანმანათლებლო საქმიანობას (სასწავლო კვირაში არაუმეტეს **6** აკადემიური საათი/სემესტრში მაქსიმუმ **90** აკადემიური საათი), **აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე,** თუ ამით ხელი არ ეშლება მის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოს შესრულებას.

„ბ1" კატეგორიის სამუშაო (**აკადემიური) დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელსაც ამავდროულად უჭირავს ბსუ-ს ადმინისტრაციული, სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობა.

„ბ2" კატეგორიის სამუშაო (**აკადემიური) დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელიც ახორციელებს **სხვა უსდ-შიც** საგანმანათლებლო საქმიანობას (სასწავლო კვირაში არაუმეტეს 12 აკადემიური საათი/სემესტრში **მაქსიმუმ 180 აკადემიური საათი),** აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, თუ ამით ხელი არ ეშლება მის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოს შესრულებას.

„ბ3" კატეგორიის აკადემიური დატვირთვა განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელსაც ამავდროულად უჭირავს **სხვა დაწესებულების ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა,** თუ ამით ხელი არ ეშლება მის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოს შესრულებას.

„ბ1“, „ბ2“ და „ბ3“ კატეგორიის სავალდებულო სამუშაო (აკადემიური) დატვირთვა შეადგენს **„ა1“, „ა2“ კატეგორიის** სავალდებულო შრომითი დატვირთვის **50%-ს.**

„ბსუ-ს აფილირების წესის“ მე-2 მუხლის მე-8-9 პუნქტების თანახმად, **„8. მოქმედი აფილირების შეთანხმების გაუქმება ან არააფილირებული** აკადემიური თანამდებობის პირის მიერ ბსუ-სთან აფილირების შეთანხმების გაფორმება **დასაშვებია მხოლოდ ბსუ-ს რექტორის თანხმობით, სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღით ადრე** წარმოდგენილი ახალი განაცხადის საფუძველზე.

9. მოქმედი აფილირების შეთანხმების პერიოდში დასაქმებულის მიერ სხვა დაწესებულებასთან აფილირების შეთანხმების გაფორმების **ან წინამდებარე წესით დადგენილი ზღვრულ ოდენობაზე მეტი საათობრივი სამუშაო დატვირთვის** შესრულების შემთხვევაში (რომლის შესახებ დასაქმებულს არ უთხოვია ბსუ-ს თანხმობა), **განიხილება აფილირების პირობებისა და შრომითი ხელშეკრულების უხეშ დარღვევად** და დასაქმებულის მიმართ განხორციელდება ბსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული საქმისწარმოება.“

„ბსუ-ს აფილირების წესის“ მე-4 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, **„11.** აკადემიური თანამდებობის პირის აკადემიური **დატვირთვის კატეგორია განისაზღვრება დასაქმებულთან დადებული აფილირების შეთანხმების გათვალისწინებით, ყოველწლიურად,** ბსუ-ს პორტალის შესაბამის მოდულში (სამუშაო დატვირთვის ელექტრონულ სისტემაში) დასაქმებულის მიერ და უნივერსიტეტის თანხმობით აღნიშნული შრომითი დატვირთვის კატეგორიის შესაბამისად.“

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები

2025 წლის 01 ნოემბრიდან ძალაში შევიდა საკანონმდებლო აქტების ის ნორმები, რომლებიც საჯარო დაწესებულებაში (რომელშიც მოიაზრება ბსუ) დასაქმებულებისათვის სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან დაკავშირებით აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს, კერძოდ, **„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“** საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-18 პუნქტის თანახმად:

,,18. საჯარო სამსახურში, მათ შორის, **საჯარო სამართლის იურიდიულ პირში** (გარდა რელიგიური და წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსი), სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში, იმ საწარმოში, რომლის აქციათა ან წილის 50%-ს ან 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან ამ საწარმოს შვილობილ საწარმოში შრომითი ხელშეკრულებით **დასაქმებულ პირს უფლება აქვს:**

ა) ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა საჯარო სამსახურისა, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა, იმ საწარმოსი, რომლის აქციათა ან წილის 50%-ს ან მეტს ფლობს/ფლობენ სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ამ საწარმოს შვილობილი საწარმოსი) მხოლოდ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ კონკრეტული სამუშაოს შესაბამისი ვადით, მაგრამ ერთჯერადად, არაუმეტეს 1 წლით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე;

ბ) ეკავოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობა მხოლოდ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ კონკრეტული საქმიანობის შესაბამისი ვადით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე;

გ) იღებდეს სხვა სარგებელს მხოლოდ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს წერილობითი თანხმობის საფუძველზე;

დ) ახორციელებდეს სხვა ანაზღაურებად სამეცნიერო, პედაგოგიურ, შემოქმედებით და სპორტულ საქმიანობებს მხოლოდ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ კონკრეტული საქმიანობის შესაბამისი ვადით, მაგრამ ერთჯერადად, არაუმეტეს 1 წლით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე.“

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე- 20 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად გამოიცა საქართველოს მთავრობის დადგენილება N482, 28.10.2025წ. „იმ საქმიანობების/ფუნქციების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განმახორციელებელ/შემსრულებელ პირებსაც უფლება აქვთ, შეთავსებით შეასრულონ ანაზღაურებადი სამუშაო საჯარო სამსახურში, აგრეთვე იმავე დაწესებულებაში ან/და სხვა საჯარო დაწესებულებებში“

ბსუ-ს დასაქმებულის შრომითი ურთიერთობები უნდა შეესაბამებოდეს ზემოაღნიშნულ სამართლებრივ აქტებს (რეგულაციები განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge , იურიდიულ ცნობარში)